ბრძანება:**ბ20. 202315823**

თარიღი:**07/06/2023**

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების საპროექტო განაცხადების/განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საპროექტო განაცხადის/განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 აპრილის № 21 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-8 მუხლის 1- ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების და გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის რამაზ შიოშვილის 2023 წლის 06 ივნისის #04-202315787 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების საპროექტო განაცხადების/განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით შეიქმნას შემდეგი 4 (ოთხი) მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი და განისაზღვროს მათი შემადგენლობები:

ა) გორის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის საპროექტო განაცხადების/განაცხადების განხილვისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა.ბ) **რამაზ შიოშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე);

ა.გ) **ვასილ ბალახაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე);

ა.დ) **ნინო ბერიანიძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ა.ე) **ქრისტინე კვიწინაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ა.ვ) **ქეთევან მჭედლიძე**- გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ა.ზ) **გიორგი გოგშელიძე** - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ა.თ) **ოთარ გვრიტიშვილი** - ა(ა)იპ „გორელ ფოტოგრაფთა კლუბის“ (ს/ნ 417887228) თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ა.ი) **ნანა ქაფიანიძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი)“; ა.კ) მაკა სახვაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის მდივანი)“;

ბ) გორის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის საპროექტო განაცხადების/განაცხადების განხილვისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ბ.ა) **რამაზ შიოშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე);
ბ.ბ) **ვასილ ბალახაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე);
ბ.გ) **გიორგი ღვინიაშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
ბ.დ) **ქრისტინე კვიწინაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
ბ.ე) **ქეთევან მჭედლიძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
ბ.ვ) **გიორგი გოგშელიძე -** გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის წევრი);
ბ.ზ) **ოთარ გვრიტიშვილი** - ა(ა)იპ „გორელ ფოტოგრაფთა კლუბის“ (ს/ნ 417887228) თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის წევრი);
ბ.თ) **ლეილა მაზმიშვილი** - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული -ოჯახის სოციალური მუშაკი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
ბ.ი) **ელისო შავდათუაშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის მდივანი)“;
ბ.კ) **ლელა მაისურაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი (ჯგუფის წევრი);
ბ.ლ) **ნაირა ვარდიაშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ჯგუფის წევრ).
გ) გორის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების პროგრამის და სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ქვეპროგრამის საპროექტო განაცხადების/განაცხადების განხილვისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
გ.ა) **რამაზ შიოშვილ**ი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე);
გ.ბ) **ვასილ ბალახაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე);
გ.გ) **ჯემალი მჭედლიშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი).
გ.დ) **ქრისტინე კვიწინაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი).
გ.ე) **ქეთევან მჭედლიძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
გ.ვ) **გიორგი გოგშელიძე** - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის წევრი);
გ.ზ) **ოთარ გვრიტიშვილი** - ა(ა)იპ „გორელ ფოტოგრაფთა კლუბის“ (ს/ნ 417887228) თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის წევრი);
გ.თ) **ბექა სულაშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
გ.ი) **კახაბერ ფინდიშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ჯგუფის წევრი);
დ) გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამების/პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამის საპროექტო განაცხადების/განაცხადების განხილვისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
დ.ა) **რამაზ შიოშვილ**ი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე).
დ.ბ) **ვასილ ბალახაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე);
დ.გ) **დიმიტრი გოგიაშვილ**ი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდული განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
დ.დ) **ქრისტინე კვიწინაძ**ე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
დ.ე) **ქეთევან მჭედლიძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
დ.ვ) **ნინო გრიგორიანი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და

ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდული განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
დ.ზ) **გიორგი გოგშელიძე** - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის წევრი);
დ.თ) **თათია თაყაძე** - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული-ბავშვის ფსიქოლოგი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
დ.ი) **გიგა გელაშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
დ.კ) **ქეთი ჭულუხაძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდული განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;
2. ბრძანების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაო ჯგუფებს დაევალოთ „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 აპრილის № 21 დადგენილებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული სამუშო ჯგუფის უფლებამოვალეობების განხორციელება ამავე დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
3. ბრძანების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო ჯფუფების მდივნებს დაევალოთ შესაბამისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, სამუშაო ჯგუფების საქმისწარმოების განხორციელება, მათ შორის ოქმების და სამუშაო ჯგუფის სამიანობისთვის სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარმოება, სამუშაო ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებული, სამუშო ჯგუფების თავმჯდომარის/სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულება.
4. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების საპროექტო განაცხადების/განაცხადების ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად.
5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების საპროექტო განაცხადი/განაცხადი და დოკუმენტები შეიძლება წარდგენილი იქნეს ასევე ელექტრონული ფორმით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@gori.gov.ge.
6. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დევალოს ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელს ამ ბრძანების დამტკიცებიდან 10 (ათი) დღის ვადაში მერიის ადგილსამყოფელ ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გორის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე პროგრამების ნაწილში/ განყოფილებაში, კონსოლიდირებულად/ერთად, გამოაქვეყნოს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამა, პროგრამაში მონაწილეობის მოქმედი პირობები/წესები, წინამდებარე ბრძანება და ამ ბრძანების დანართი 1 (Word-ის ფორმატში). ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე. ინფორმაციის თავისებურებებიდან გამომდინარე, ინფორმაცია ვებგვერდზე, განთავსდეს PDF, Word ან/ და Excel ფორმატში.
7. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დევალოს ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელს ამ ბრძანების დამტკიცებიდან 10 (ათი) დღის ვადაში მერის წარმომადგენლების განთავსების ადმინისტრაციულ შენობებში გამოაქვეყნოს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამა, პროგრამაში მონაწილეობის მოქმედი პირობები/წესები და წინამდებარე ბრძანება.
8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს გორის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 03 ივლისის #3905-ს ბრძანება.
9. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი